

2020

შპს „ვარდნილჭესების კასკადი“

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

1-3

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	6
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	7
1. ძირითადი საქმიანობა	8
2. მომზადების საფუძველი	8
3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები	9
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	16
5. ცვლილება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების წარდგენაში	17
6. ძირითადი საშუალებები	20
7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	21
8. ფული და ფულის ეკვივალენტები; დეპოზიტები; ოვერდრაფტი	21
9. რესტრუქტურირებული ვალდებულებები	21
10. კაპიტალი	22
11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	22
12. სესხები	22
13. შემოსავლები	22
14. გაყიდული ელექტროენერგიის თვითღირებულება	23
15. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	23
16. სხვა საოპერაციო ხარჯები	23
17. დაბეგვრა	23
18. ფინანსური რისკის მართვა	24
19. დაკავშირებული მხარეები	26
20. ფუნქციონირებადი საწარმო	27
21. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	27

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ვარდნილჰესების კასკადის“ მფლობელსა და ხელმძღვანელობას

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი შპს „ვარდნილჰესების კასკადის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგებისა, რომელიც შედგება 2020 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის ნაწილში - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრისთვის, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

კომპანიამ პირველად 2008 წელს წარმოადგინა ფინანსური ანგარიშგება ფასს-ის შესაბამისად. როგორც ცნობილია, ფასს 1-ის თანახმად - ფინანსური ანგარიშგების პირველად წარდგენისთვის, საჭიროა აუცილებელი კორექტირებების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში. კომპანიამ ძირითადი საშუალებების აღრიცხვისთვის გამოიყენა დასაშვები საწყისი ღირებულების მეთოდი და მისი შესაბამისი ღირებულება განსაზღვრა ინდექსებით, რომელიც მოცემულია საქართველოს პრეზიდენტის 09/07/1997 N:295 „საქართველოს ეროვნული მეურნეობის ძირითადი ფონდების გადაფასების შესახებ“ - ბრძანებაში. ღირებულების განსაზღვრის მეთოდი, რომელიც ზემოთ არის აღწერილი არ შეესაბამება სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის პრინციპებს, რომელიც უნდა განისაზღვროს საბაზრო პირობებიდან გამომდინარე. ჩვენ ვერ მოვახერხეთ დაგვედგინა აღნიშნულის ეფექტის გავლენა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოცემული ძირითადი საშუალებების ღირებულებაზე, ასევე მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილი გაყიდული ელექტროენერგიის თვითღირებულებაში ასახული ცვთის ხარჯზე და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში წარმოდგენილი წმინდა საოპერაციო ფულადი ნაკადების ელემენტებზე 2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის.

ამასთანავე, ჩვენ ვერ შევძელით მოგვეპოვეთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორულ მტკიცებულება კომპანიის პირდაპირი ხელფასის ხარჯზე 2,087 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც შეადგენს გაყიდული ელექტროენერგიის თვითღირებულების ნაწილს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების ნაწილი ფიზიკურად მდებარეობს ოკუპირებულ ტერიტორიაზე, საიდანაც ვერ მოხერხდა აღნიშნული ხელშეკრულებების მოწოდება.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისაგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში, გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციაზე. სხვა ინფორმაცია მოიცავს კომპანიის მმართველობის ანგარიშგებაში მოცემულ ინფორმაციას, მაგრამ არ შეიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორულ დასკვნას. ფინანსურ ანგარიშგებაზე გაცემული ჩვენი აუდიტორული მოსაზრება არ მოიცავს სხვა ინფორმაციას.

განცალკევებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობაა ზემოთ მითითებული სხვა ინფორმაციის გაცნობა და იმის განსაზღვრა, ეს სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტების მოთხოვნებთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციიდან გამომდინარე.

იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ მიერ სხვა ინფორმაციასთან დაკავშირებით შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით, დავასკვნით, რომ ეს სხვა ინფორმაცია არსებითად მცდარია, ჩვენ უნდა განვაცხადოთ ეს ფაქტი. ამასთან დაკავშირებით არაფერი გვაქვს განსაცხადებელი.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ის შესაბამისად, ჩატარებული აუდიტის განმავლობაში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან

თადლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი აზრით, აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებზე დაყრდნობით, კომპანიის 2020 წლის მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- ▶ შეესაბამება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებას;
- ▶ შეიცავს იმ ინფორმაციას, რომელიც მოითხოვება საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

სოფიკო ღუდუშაური, გარიგების პარტნიორი (SARAS-A-835962)

შპს „ნექსია თიბი“ (SARAS-F-550338)

2021 წლის 15 ივნისი

თბილისი, საქართველო

Member of Nexia International

თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებას კომპანიის ფარგლებში არსებული ბიზნესოპერაციების ფინანსურ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რომ გამოვთქვათ მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხს ვაგებთ კომპანიის აუდიტის წარმართვაზე, ზედამხედველობასა და შედეგებზე. ჩვენ უშუალოდ ვართ პასუხისმგებელი აუდიტორულ მოსაზრებაზე.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი აზრით, აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებზე დაყრდნობით, კომპანიის 2020 წლის მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- ▶ შეესაბამება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებას;
- ▶ შეიცავს იმ ინფორმაციას, რომელიც მოითხოვება საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

სოფიკო ღუდუშაური, გარიგების პარტნიორი (SARAS-A-835962)

შპს „ნექსია თიბი“ (SARAS-F-550338)

2021 წლის 15 ივნისი

თბილისი, საქართველო



Closer to you

შპს „ვარდნილჰესების კასკადი“
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ათას ქართულ ლარში)

	შენიშვნები	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები		111,754	111,401
ძირითადი საშუალებები	5	111,747	111,394
სხვა გრძელვადიანი აქტივები		7	7
მიმდინარე აქტივები		6,938	9,267
სასაქონლო-მატერიალური მარაგები		753	178
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	5,704	5,041
წინასწარ გადახდილი თანხები		164	-
ფული საბანკო ანგარიშზე	7	317	4,047
სულ აქტივები		118,692	120,668
პასივები			
საწესდებო კაპიტალი	8	116,335	116,335
აკუმულირებული მოგება/(ზარალი)		(7,418)	446
სულ კაპიტალი		108,917	116,781
გრძელვადიანი ვალდებულებები		7,248	1,533
რესტრუქტურისებული ვალდებულებები	9	1,222	1,533
გრძელვადიანი სესხი	11	6,026	-
მიმდინარე ვალდებულებები		2,527	2,354
რესტრუქტურისებული ვალდებულებები	9	653	720
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10	374	1,634
მოკლევადიანი სესხი	11	1,500	-
სულ ვალდებულებები		9,775	3,887
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		118,692	120,668

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი შოთა სანაძე	მთავარი ბუღალტერი კახა მზარელუა
15 ივნისი 2020 თბილისი, საქართველო	15 ივნისი 2020 თბილისი, საქართველო

8-26 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ვარდნილჰესების კასკადი“
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ათას ქართულ ლარში)

	შენიშვნები	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები		111,754	111,401
ძირითადი საშუალებები	5	111,747	111,394
სხვა გრძელვადიანი აქტივები		7	7
მიმდინარე აქტივები		6,938	9,267
სასაქონლო-მატერიალური მარაგები		753	178
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	5,704	5,041
წინასწარ გადახდილი თანხები		164	-
ფული საბანკო ანგარიშზე	7	317	4,047
სულ აქტივები		118,692	120,668
პასივები			
საწესდებო კაპიტალი	8	116,335	116,335
აკუმულირებული მოგება/(ზარალი)		(7,418)	446
სულ კაპიტალი		108,917	116,781
გრძელვადიანი ვალდებულებები		7,248	1,533
რესტრუქტურული ვალდებულებები	9	1,222	1,533
გრძელვადიანი სესხი	11	6,026	-
მიმდინარე ვალდებულებები		2,527	2,354
რესტრუქტურული ვალდებულებები	9	653	720
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10	374	1,634
მოკლევადიანი სესხი	11	1,500	-
სულ ვალდებულებები		9,775	3,887
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		118,692	120,668

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი
 შოთა სანაძე

მთავარი ბუღალტერი
 ვახტანგ შარელია

15 ივნისი 2020
 თბილისი, საქართველო



15 ივნისი 2020
 თბილისი, საქართველო

8-26 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ვარდნილშესების კასკადი“
 სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ათას ქართულ ლარში)

	შენიშვნები	2020	2019
შემოსავალი	12	3,690	13,111
გაყიდული ელექტროენერგიის თვითღირებულება	13	(7,484)	(7,136)
საერთო მოგება / (ზარალი)		(3,794)	5,975
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	14	(3,275)	(3,055)
სხვა საოპერაციო ხარჯები	15	(609)	-
საოპერაციო მოგება / (ზარალი)		(7,678)	2,920
ფინანსური შემოსავალი		-	36
ფინანსური ხარჯი		(204)	-
წმინდა მოგება საკუროსო სხვაობიდან		18	34
არასაოპერაციო შემოსავალი		-	209
მოგება / (ზარალი) დაბეგვრამდე		(7,864)	3,199
მოგების გადასახადის ხარჯი	16	-	-
წლის მოგება / (ზარალი)		(7,864)	3,199
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)		(7,864)	3,199

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი შოთა სანაძე	მთავარი ბუღალტერი კახა მზარელუა
15 ივნისი 2020 თბილისი, საქართველო	15 ივნისი 2020 თბილისი, საქართველო

8-26 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ვარდნილპესების კასკადი“
 სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ათას ქართულ ლარში)

	შენიშვნები	2020	2019
შემოსავალი	12	3,690	13,111
გაყიდული ელექტროენერგიის თვითღირებულება	13	(7,484)	(7,136)
საერთო მოგება / (ზარალი)		(3,794)	5,975
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	14	(3,275)	(3,055)
სხვა საოპერაციო ხარჯები	15	(609)	-
საოპერაციო მოგება / (ზარალი)		(7,678)	2,920
ფინანსური შემოსავალი		-	36
ფინანსური ხარჯი		(204)	-
წმინდა მოგება საკურსო სხვაობიდან		18	34
არასაოპერაციო შემოსავალი		-	209
მოგება / (ზარალი) დაბეგვრამდე		(7,864)	3,199
მოგების გადასახადის ხარჯი	16	-	-
წლის მოგება / (ზარალი)		(7,864)	3,199
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)		(7,864)	3,199

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი
 შოთა სანაძე

მთავარი ბუღალტერი
 ვახტანგ მზარელა

15 ივნისი 2020
 თბილისი, საქართველო



15 ივნისი 2020
 თბილისი, საქართველო

8-26 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ვარდნილჰესების კასკადი“
 კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ათას ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი (შენიშვნა 9)	აკუმულირებული ზარალი	სულ
31 დეკემბერი 2018	116,335	(2,753)	113,582
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	3,199	3,199
31 დეკემბერი 2019	116,335	446	116,781
წლის მთლიანი სრული ზარალი	-	(7,864)	(7,864)
31 დეკემბერი 2020	116,335	(7,418)	108,917

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი შოთა სანაძე	მთავარი ბუღალტერი კახა მზარეულა
15 ივნისი 2020 თბილისი, საქართველო	15 ივნისი 2020 თბილისი, საქართველო

8-26 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ვარდნილჰესების კასკადი“
 კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ათას ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი (შენიშვნა 9)	აკუმულირებული ზარალი	სულ
31 დეკემბერი 2018	116,335	(2,753)	113,582
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	3,199	3,199
31 დეკემბერი 2019	116,335	446	116,781
წლის მთლიანი სრული ზარალი	-	(7,864)	(7,864)
31 დეკემბერი 2020	116,335	(7,418)	108,917

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი
 შოთა სანაძე

მთავარი ბუღალტერი
 ვახა მზარელუა

15 ივნისი 2020
 თბილისი, საქართველო



15 ივნისი 2020
 თბილისი, საქართველო

8-26 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ვარდნილშესების კასკადი“
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ქართულ ლარში)

	2020	2019
საოპერაციო საქმიანობა		
მოგება / (ზარალი) გადასახადებამდე	(7,864)	3,199
არაფულადი კორექტირებები:		
ძირითადი საშუალებების ცვეთა (შენიშვნა 6)	4,383	4,379
(მოგება)/ზარალი სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	(18)	(34)
ფინანსური ხარჯი		
საბრუნავი კაპიტალის კორექტირებები:		
ცვლილებები მოთხოვნებსა და წინასწარ გაწეულ ხარჯებში	(827)	1,406
ცვლილებები მიღებულ ავანსებში	-	219
ცვლილებები სასაქონლო-მატერიალური მარაგებში	(574)	(158)
ცვლილებები სავაჭრო და სხვა დავალიანებებში	(1,260)	1,016
წმინდა ფულის შემოძინება/(გაძინება) საოპერაციო საქმიანობიდან	(6,160)	10,027
საინვესტიციო საქმიანობა		
ძირითადი საშუალებების შეძენა (შენიშვნა 6)	(4,736)	(9,779)
სხვა გრძელვადიანი აქტივების ზრდა	-	(1)
წმინდა ფულის გაძინება საინვესტიციო საქმიანობიდან	(4,736)	(9,780)
საფინანსო საქმიანობა		
სესხების და რესტრუქტურირებული ვალდებულებების დაფარვა	-	(720)
სესხების და რესტრუქტურირებული ვალდებულებების აღება	7,148	
წმინდა ფულის შემოძინება / (გაძინება) საფინანსო საქმიანობიდან	7,148	(720)
ფულისა და ფულის ეკვივალენტების წმინდა ზრდა	(3,748)	(473)
ფულთან დაკავშირებული საკურსო სხვაობა	18	62
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში (შენიშვნა 8)	4,047	4,458
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს (შენიშვნა 8)	317	4,047

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი	მთავარი ბუღალტერი
შოთა სანაძე	კახა მზარელა
15 ივნისი 2020	15 ივნისი 2020
თბილისი, საქართველო	თბილისი, საქართველო

8-26 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ვარდნილჰესების კასკადი“
 ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება
 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ათას ქართულ ლარში)

	2020	2019
საოპერაციო საქმიანობა		
მოგება / (ზარალი) გადასახადებამდე	(7,864)	3,199
არაფულადი კორექტირებები:		
ძირითადი საშუალებების ცვეთა (შენიშვნა 6)	4,383	4,379
(მოგება)/ზარალი სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	(18)	(34)
ფინანსური ხარჯი		
საბრუნავი კაპიტალის კორექტირებები:		
ცვლილებები მოთხოვნებსა და წინასწარ გაწეულ ხარჯებში	(827)	1,406
ცვლილებები მიღებულ ავანსებში	-	219
ცვლილებები სასაქონლო-მატერიალური მარაგებში	(574)	(158)
ცვლილებები სავაჭრო და სხვა დავალიანებებში	(1,260)	1,016
წმინდა ფულის შემოძინება/(გაძინება) საოპერაციო საქმიანობიდან	(6,160)	10,027
საინვესტიციო საქმიანობა		
ძირითადი საშუალებების შეძენა (შენიშვნა 6)	(4,736)	(9,779)
სხვა გრძელვადიანი აქტივების ზრდა	-	(1)
წმინდა ფულის გაძინება საინვესტიციო საქმიანობიდან	(4,736)	(9,780)
საფინანსო საქმიანობა		
სესხების და რესტრუქტურირებული ვალდებულებების დაფარვა	-	(720)
სესხების და რესტრუქტურირებული ვალდებულებების აღება	7,148	
წმინდა ფულის შემოძინება / (გაძინება) საფინანსო საქმიანობიდან	7,148	(720)
ფულისა და ფულის ეკვივალენტების წმინდა ზრდა	(3,748)	(473)
ფულთან დაკავშირებული საკურსო სხვაობა	18	62
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში (შენიშვნა 8)	4,047	4,458
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს (შენიშვნა 8)	317	4,047

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი
 შოთა სანაძე



მთავარი ბუღალტერი
 ვახტანგ მზარელა



15 ივნისი 2020
 თბილისი, საქართველო



15 ივნისი 2020
 თბილისი, საქართველო

8-26 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

1. ძირითადი საქმიანობა

შპს ვარდნილჰესების კასკადი („კომპანია“) დაფუძნდა და რეგისტრირებულია საგადასახადო ორგანოში 1999 წლის 2 ოქტომბერს, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად (ს/ნ: 251716362) რომელიც ოპერირებს საქართველოს მასშტაბით, საქართველოს კონსტიტუციის, კანონისა და კომპანიის წესდების საფუძველზე.

კომპანიის 100% იანი წილის მფლობელი 2020 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის შპს „ენგურჰესი“, რომლის მფლობელიც თავის მხრივ არის საქართველოს სახელმწიფო.

კომპანიის ძირითადი საქმიანობა გულისხმობს ელექტროენერგიის გამომუშავებას და რეალიზაციას საქართველოში და საზღვარგარეთ.

კომპანიის სარეგისტრაციო მისამართია: პოლიტკოვსკაიას ქუჩა #8 თბილისი, საქართველო.
კომპანიის მთავარი ოფისი მდებარეობს გალის რაიონ დაბა საბერიოში.

2. მომზადების საფუძველი

ზოგადი ინფორმაცია

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ (შემდეგში „ფასს“) შესაბამისად, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში და დამრგვალებულია უახლოეს ათასამდე თუ სხვაგვარად არ არის მითითებული ქვემოთ წარმოდგენილი ფინანსური აღრიცხვის პოლიტიკის მიხედვით.

წინა წლის ფინანსური ანგარიშგება ასევე მომზადებული იყო ფასს-ის შესაბამისად.

ფუნქციონირებადი საწარმო

კომპანიის გაცალკევებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე. ამ გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ კომპანია არის შპს „ენგურჰესის“ საკუთრებაში, რომლის მფლობელიც არის სახელმწიფო. იმ შემთხვევაში თუ კომპანიას შეექმნება რაიმე სახის პრობლემა ვალების დაფარვასთან დაკავშირებით, დახმარებას შპს „ენგურჰესი“ გაუწევს, რომელიც, თავის მხრივ სახელმწიფოს მხრიდან იღებს მხარდაჭერას.

თანხმად ბრძანებისა N77 – „ელექტროენერგიის ბაზრის წესებისა“ კომპანია ამარაგებს აფხაზეთის ტერიტორიას ელექტროენერგიით კომპენსაციის გარეშე. ორ წელიწადში ერთხელ საქართველოს მთავრობა იღებს გადაწყვეტლებას აფხაზეთისგან წარმოქმნილი დებიტორული დავალიანების ჩამოწერის შესახებ.

კომპანიის წმინდა ზარალმა შეადგინა 7,864 ათასი ლარი 2020 წლის შედეგებით (2019 წლის განმავლობაში კომპანიამ მიიღო წმინდა მოგება 3,199 ათასი ლარის ოდენობით). მიუხედავად 2020 წელს მიღებული წმინდა ზარალისა, კომპანიის მიმდინარე აქტივები მიმდინარე ვალდებულებებს 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღემატება 4,411 ათასი ლარით (2019: 6,913 ათასი ლარი).

აღსანიშნავია, რომ მოხდა ტარიფის ზრდა 2020 წლის 17 დეკემბრის საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დადგენილებით 2021 წლის 1-ლი იანვრიდან 2024 წლის 1-ელ იანვრამდე პერიოდისათვის 2.206 თეთრი/კვტსთ დან - 2.565 თეთრი/კვტსთ მდე.

აღნიშნული მდგომარეობა მიგვითითებს რომ არ არსებობს საფუძველი, რაც ეჭვქვეშ აყენებს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს არსებობას.

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

კომპანია იმდენებს, რომ 2021 წელი საწარმოსათვის გარდამავალი იქნება ენერგეტიკაში განსახორციელებელი რეფორმების შედეგად, კერძოდ შემდგომ წლებში კომპანია შეძლებს სალტეზო გაშვებული ელექტროენერგიის ღირებულების 100%-ის მიღებას.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

კომპანია იყენებს ყველა შესაბამის სტანდარტს და ინტერპრეტაციას, რომლებიც სავალდებულოა მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდისთვის და რელევანტურია კომპანიისთვის.

კომპანიას არ გამოუყენებია ახალი, შესწორებული ან შეცვლილი სტანდარტები, რომლებიც გამოიცა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასს) მიერ, მაგრამ ჯერ არ იყო ძალაში შესული 2020 წლის 1 იანვარს დაწყებული ფინანსური წლისთვის.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება მათ თავდაპირველ ღირებულებას დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულება. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებით და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებების ჯგუფი შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

ძირითადი საშუალებები, რომელიც გამოიყენება ძირითადი საქმიანობისთვის, ადმინისტრაციული ან გაქირავებისთვის, ან არის მშენებარე მდგომარეობაში, აღრიცხულია მის თვითღირებულებასა და გაუფასურების ღირებულებას შორის სხვაობით. თვითღირებულება შეიცავს პირდაპირ ხარჯებს, რომელიც გათვალისწინებულია ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკით. სესხებთან დაკავშირებული ხარჯები კაპიტალიზირდება აქტივის ღირებულებაზე კომპანიის პოლიტიკით.

მოგება და ზარალი რომელიც წარმოიშობა აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით მიღებული სარგებლისა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებში.

ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან და აღრიცხულია დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლობის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივების სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში. აქტივების სასიცოცხლო პერიოდი შემდეგნაირად ნაწილდება:

<i>ძირითადი საშუალების ჯგუფი</i>	<i>სასარგებლო პერიოდის ვადა</i>
შენობა ნაგებობები	40 -80 წელი
მანქანა დანადგარები	10– 40 წელი
ავტომობილები, კომპიუტერები, ავეჯი და სხვა	5 – 10 წელი
მიწა და დაუმთავრებელი მშენებლობა	არ იცვითება

აქტივის გამოყენების უფლება

კომპანია როგორც მოიჯარე

ნებისმიერი ახალი ხელშეკრულების დაწყებისას რომელიც დადებულია 2019 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ, საწარმომ უნდა შეაფასოს, მთლიანად ხელშეკრულება არის თუ არა იჯარა, ან შეიცავს თუ არა იჯარას.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

იჯარა განიმარტება როგორც ხელშეკრულება, ან ხელშეკრულების ნაწილი, რომლის თანახმად სხვა მხარეს გადაეცემა აქტივის (საიჯარო აქტივის) გამოყენების უფლება გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ. ამ განმარტების გამოსაყენებლად საწარმომ უნდა შეაფასოს:

- ა) კონტრაქტი შეიცავს თუ არა იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას გარკვეული პერიოდის განმავლობაში. როგორც წესი, აქტივი პირდაპირ არის განსაზღვრული ხელშეკრულებაში. თუმცა, ასევე შესაძლებელია, რომ აქტივის იდენტიფიცირება არაპირდაპირი გზით მოხდეს იმ მომენტში, როდესაც აქტივი გამოყენებისთვის ხელმისაწვდომი ხდება მომხმარებლისთვის.
- ბ) ხელშეკრულებაში იდენტიფიცირებული აქტივიდან არსებითი სარგებლის მიღების უფლება. აქტივის გამოყენებით ეკონომიკური სარგებლის უმეტესი წილის მიღების უფლების არსებობის შეფასებისას, საწარმომ ეკონომიკური სარგებლის ის სახეები უნდა განიხილოს, რომლებიც აქტივის გამოყენებით მიიღება აქტივის გამოყენებაზე მომხმარებლის უფლებებისთვის დადგენილ გარკვეულ საზღვრებში. კომპანია განსაზღვრავს, როგორ და რა მიზნით გამოიყენება აქტივი გამოყენების პერიოდის განმავლობაში.

იჯარის შეფასება და აღიარება

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანია აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის მოიჯარე აქტივის გამოყენების უფლებას თვითღირებულებით აფასებს. აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულება უნდა მოიცავდეს: საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას; საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით; მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს და იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი, ან საიჯარო აქტივის აღსადგენად ისეთ მდგომარეობაში მოყვანის მიზნით, რაც მოითხოვება საიჯარო ხელშეკრულების პირობებით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ეს დანახარჯები გაწეულია მარაგის საწარმოებლად. მოიჯარეს ამგვარი დანახარჯების ვალდებულება წარმოეშობა ან იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან გარკვეულ პერიოდის განმავლობაში საიჯარო აქტივის გამოყენების შედეგად.

მოიჯარემ აქტივის გამოყენების უფლებას ცვეთას არიცხავს იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან შემდეგ ორ თარიღს შორის უფრო ადრინდელ თარიღამდე: აქტივის გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისა და იჯარის ვადის დასრულების თარიღი.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, მოიჯარემ საიჯარო ვალდებულება უნდა შეაფასოს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება უნდა განხორციელდეს იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ აღნიშნული განაკვეთი არ არის ხელმისაწვდომი მოიჯარემ უნდა გამოიყენოს ზღვრული სასესხო განაკვეთი.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ მოიჯარე საიჯარო ვალდებულებას აფასებს შემდეგნაირად: ზრდის ღირებულებას საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებული პროცენტის ასახვით; ამცირებს საბალანსო ღირებულებას განხორციელებული საიჯარო გადახდების ასახვით; და თავიდან აფასებს საბალანსო ღირებულებას საიჯარო გადახდების ცვლილებების შემთხვევაში.

მოიჯარის მიერ საიჯარო ვალდებულების თავიდან შეფასებისას კორექტირდება აქტივის გამოყენების უფლება იჯარის ყველა სხვა მოდიფიკაციის გათვალისწინებით, ხოლო იმ შემთხვევაში თუ აქტივის გამოყენების უფლება ნულის ტოლია, მოიჯარემ მოგება/ზარალში უნდა აღიაროს ნებისმიერი მოდიფიკაცია.

კომპანიამ გადაწყვიტა გამოიყენოს განთავსების უფლება და მოკლევადიან იჯარასთან, ან დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივის იჯარასთან მიმართებით დაკავშირებული საიჯარო გადახდები აღიაროს ხარჯის სახით იჯარის ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, აქტივის გამოყენების უფლება შესაძლოა აღირიცხოს ძირითად საშუალებებში ან განცალკევებულად, ხოლო საიჯარო ვალდებულება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში ან განცალკევებულად.

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები

თავდაპირველი აღირება

აღიარების თარიღი

ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებების ყოველგვარი ყიდვა-გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში აღიარებულია გარიგების თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც კომპანიამ აქტივის ან ვალდებულების შესყიდვის ვალდებულება იკისრა. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ყიდვა-გაყიდვა ნიშნავს ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ისეთ ყიდვა-გაყიდვას, რომელიც მოითხოვს აქტივების და ვალდებულებების გადაცემას კანონმდებლობით ბაზარზე ზოგადად არსებული პრაქტიკით განსაზღვრულ პერიოდში.

თავდაპირველი შეფასება

თავდაპირველი შეფასებისთვის ფინანსური ინსტრუმენტის კლასიფიკაცია დამოკიდებულია სახელშეკრულებლო პირობებსა და ინსტრუმენტის მართვის ბიზნესმოდელზე. თავდაპირველად ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ფინანსური აქტივი და ვალდებულების აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში, მაშინ ამ თანხებს ემატება ან აკლდება გარიგების დანახარჯები.

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების შეფასების კატეგორიები

კომპანია ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას ახდენს ინსტრუმენტის მართვის ბიზნესმოდელიდან და სახელშეკრულებლო პირობებიდან გამომდინარე ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთით:

- ამორტიზირებული ღირებულება;
- სამართლიანი ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში;
- სამართლიანი ღირებულება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები, სასესხო დავალიანებისა და ფინანსური გარანტიების გარდა, ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში, როდესაც

ისინი გამიზნულია ვაჭრობისთვის, ან არის წარმოებული ინსტრუმენტები, ან სამართლიანი ღირებულებითაა კლასიფიცირებული.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები ამორტიზირებული ღირებულებით

კომპანია ახდენს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების და სხვა ფინანსური აქტივების შეფასებას ამორტიზირებული ღირებულებით იმ შემთხვევაში, თუ ორივე შემდეგი პირობა დაკმაყოფილებულია:

- ფინანსური აქტივი იმართება ისეთი ბიზნესმოდელით, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დარჩენილ ნაშთზე დარიცხული პროცენტის გადახდებს.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ზემოთხსენებული პირობების დეტალები მოცემულია ქვემოთ:

ბიზნესმოდელის შეფასება

კომპანიის ბიზნესმოდელი განისაზღვრება ისეთ დონეზე, რომელიც გვიჩვენებს, რა მეთოდებით ხდება ფინანსური აქტივების ჯგუფების ერთობლივად მართვა ბიზნესის გარკვეული მიზნების მისაღწევად. კომპანიის ბიზნესმოდელი არ წარმოადგენს ცალკეული ინსტრუმენტებისთვის გამოსაყენებელ საკლასიფიკაციო მიდგომას, არამედ იგი უნდა განისაზღვროს აგრეგირების უფრო მაღალ დონეზე და დაფუძნებული უნდა იყოს ისეთ დაკვირვებად ფაქტორებზე, როგორიც არის, მაგალითად:

- როგორ ხდება ბიზნესმოდელის ეფექტურობისა და ამ ბიზნესმოდელის ფარგლებში ფლობილი ფინანსური აქტივების შეფასება და ამ საკითხების შესახებ საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ინფორმირება;
- რისკები, რომლებიც გავლენას ახდენს მოცემული ბიზნესმოდელის (და ამ ბიზნესმოდელის ფარგლებში ფლობილი ფინანსური აქტივების) ეფექტურობაზე და კონკრეტულად როგორ ხორციელდება ამ რისკების მართვა;
- რა ფორმით ხდება ბიზნესის ხელმძღვანელების ანაზღაურება (მაგალითად, ანაზღაურება მართული აქტივების სამართლიან ღირებულებას ეფუძნება თუ მიღებული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ოდენობას);
- მოსალოდნელი სიხშირე, ღირებულება და გაყიდვების დროულობა ასევე მნიშვნელოვანია კომპანიის შესაფასებლად.

ბიზნეს მოდელის შეფასება დაფუძნებულია გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელ სცენარებზე, „ყველაზე უარესი“ ან „სტრესული შემთხვევების“ სცენარების გათვალისწინების გარეშე. თუ ფულადი ნაკადები ისეთი გზით წარმოიქმნება, რომელიც განსხვავდება ბიზნესმოდელის შეფასების თარიღით კომპანიის მოლოდინებისგან, ეს არ გამოიწვევს მოცემული ბიზნესმოდელის ფარგლებში დარჩენილი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციის ცვლილებას, თუმცა ინფორმაციის გათვალისწინება მოხდება მომავალში ახლად წარმოქმნილი ან ახლად შესყიდული ფინანსური აქტივების შეფასებისას.

მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების (SPPI) ტესტირება

კლასიფიკაციის შემდეგ ეტაპზე კომპანია აფასებს ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობებს, რათა დაადგინოს, აკმაყოფილებს თუ არა ისინი ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების ტესტირებას.

„ძირითადი თანხა“ ტესტირების მიზნებისთვის განისაზღვრება როგორც ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას და შეიძლება შეიცვალოს ფინანსური აქტივის სასარგებლო გამოყენების მანძილზე (მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ ხორციელდება გადახდები ძირითადი თანხის დასაფარადა ან პრემიუმის/ დისკონტის ამორტიზაცია). ფულის დროითი ღირებულების და საკრედიტო რისკის ანაზღაურება პროცენტის ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტებია. იმისათვის, რომ განისაზღვროს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები წარმოადგენს თუ არა მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდას, კომპანია მიმართავს მსჯელობას და ითვალისწინებს ისეთ მნიშვნელოვან ფაქტორებს, როგორიცაა ვალუტა, რომელშიც გამოსახულია ფინანსური აქტივი და პერიოდი, რომლისთვისაც დადგენილია საპროცენტო განაკვეთი. ამისგან განსხვავებით, სახელშეკრულებო პირობები, რომლებიც ითვალისწინებს არაარსებითზე მეტ რისკს ან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ცვალებადობას, რომლებიც არ უკავშირდება ძირითად სახელშეკრულებო გარიგებას, არ წარმოქმნის ისეთ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებს, რომლებიც მხოლოდ ძირითადი თანხის და დაუფარავ ბალანსზე დარიცხული პროცენტის გადახდას წარმოადგენს. ასეთ შემთხვევებში ფინანსური აქტივი უნდა შეფასდეს სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

მოთხოვნები და დეპოზიტები

კომპანიამ დანერგა ფასის 9-ის გამარტივებული მიდგომა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების შესაფასებლად, რომლისთვისაც გამოიყენა სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მთელი სასიცოცხლო ვადის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალები. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალს ფინანსური ინტესტუმენტების მიმართ კომპანია აფასებს ისეთი მეთოდით რომელიც ასახავს: მიუკერძოებელ და ალბათობებით შეწონილ ოდენობას, რომელიც განისაზღვრება შესაძლო შედეგების დიაპაზონის შეფასებით; ფულის დროითი ღირებულების; გონივრულ და ღირებულ ინფორმაციას წარსული მოვლენების, მიმდინარე პირობებისა და სამომავლო ეკონომიკური პროგნოზების შესახებ, რომელიც საანგარიშგებო თარიღისთვის ხელმისაწვდომია მიზანშეუწონელი დანახარჯების ან ძალისხმევის გარეშე.

დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვის გაანგარიშების პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ ცხრილის სახით:

ვადაგადაცილების დღეები	30 დღეზე ნაკლები	31 – 60 დღე	61-90 დღე	91-180 დღე	180 დღეზე მეტ
დარეზერვების პროცენტულობა	0%	2%	10%	25%	100%

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები შედგება ბანკებში განთავსებულ მიმდინარე ანგარიშებზე არსებული ფულისგან, რომლებიც ექვემდებარება ფასის შეცვლის მცირედ რისკს.

ნასესხები თანხები

ნასესხები თანხების საპროცენტო ხარჯი, რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება აქტივის შეძენას, აშენებას ან წარმოებას, რასაც აუცილებლად სჭირდება დროის დიდი პერიოდი, რათა მზად იყოს თავისი ფუნქციური გამოყენებისათვის ან გაყიდვისათვის, კაპიტალიზდება, როგორც შესაბამისი აქტივის ღირებულების ნაწილი. ყველა სხვა სასესხო ხარჯები ჩაითვლება ხარჯებში იმ პერიოდისათვის, როდესაც ისინი ხორციელდება. სასესხო ხარჯები შედგება სარგებლისა და სხვა ხარჯებისგან, რასაც პირი გასწევს თანხების სესხებასთან დაკავშირებით. კომპანიას ნასესხები აქვს თანხები თავისი მფლობელებისგან თავისი ძირითადი საქმიანობების დასაფინანსებლად.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები გაიქვითება და ნეტო თანხა ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევაში თუ მიმდინარე პერიოდში არსებობს იურიდიული ძალის მქონე უფლება, რომ მოხდეს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვა და არსებობს განზრახვა, რომ მოხდეს ვალდებულების გასწორება ან აქტივის რეალიზაცია ერთდროულად ნეტო თანხაზე.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივის ჯგუფის ნაწილის) ჩამოწერა ხდება, თუ:

- ▶ ამოიწურა აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების ვადა;
- ▶ კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

- ▶ უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; და
- ▶ კომპანიამ (ა) გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, (ბ) არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

იმ შემთხვევაში, თუ კომპანიამ გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება და არ გადაუცია ძირითადი რისკები და სარგებელი, ან კონტროლი აქტივებზე, კომპანიის მიერ აქტივის აღიარება ხდება უწყვეტი გამოყენების პირობით. შემდგომი გამოყენება, რომელსაც აქვს გადაცემულ აქტივზე ერთგვარი გარანტიის ფორმა, აისახება აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და კომპანიის მიერ გადასახდელ მაქსიმალურ თანხას შორის უმცირესით.

ჩამოწერა

ფინანსური აქტივები ჩამოიწერება ნაწილობრივ ან სრულად მას შემდეგ, რაც კომპანია შეწყვეტს თანხის ამოღების მცდელობას. თუ ჩამოსაწერი თანხა დაგროვილი ზარალის რეზერვზე მეტია, სხვაობა ჯერ ემატება რეზერვს და შემდგომ გამოიქვითება საერთო საბალანსო ღირებულებიდან. შემდგომ პერიოდში თანხის ამოღება კრედიტდება საკრედიტო ზარალის ხარჯში. ჩამოწერა წარმოადგენს აღიარების შეწყვეტის მოვლენას.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება.

როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ცვლის მეორე ფინანსური ვალდებულება იმავე კრედიტორის მიმართ მნიშვნელოვნად შეცვლილი პირობებით, ან თუ მიმდინარე ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება თუ მოდიფიკაცია აღირიცხება, როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების გაუქმება და ახალი ვალდებულების აღიარება, ხოლო

შესაბამისი საბალანსო ღირებულის სხვაობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

შემოსავლისა და ხარჯის აღიარება

შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღების ალბათობა მაღალია და შესაძლებელია მისი სანდოდ შეფასება. შემოსავლის აღიარებამდე ასევე აუცილებელია შემდეგი კონკრეტული აღიარების კრიტერიუმების დაკმაყოფილება:

შემოსავალი განისაზღვრება მისივე სამართლიანი ღირებულებით ან სავაჭრო მოთხოვნებით, რომელშიც გათვალისწინებულია კომპანიის ფასდაკლებები და ფასდათმობები. შემოსავალი მცირდება შეფასებული ფასდაკლებებით და სხვა მსგავსი შეღავათებით.

შემოსავალი ელექტროენერგიის გაყიდვიდან

კომპანია იღებს შემოსავალს გამომუშავებული ელექტროენერგიის რეალიზაციიდან. შემოსავლის აღიარება ხდება ყოველთვიურად, იმ თანხის პროპორციულად, რა ოდენობის ელექტროენერგიაც იქნა მიწოდებული მომხმარებლისთვის, რომელიც თავის მხრივ დასტურდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დასტურდება ესკო-ს და საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის მიერ.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

მოგების გადასახადი

მიმდინარე გადასახადი არის საგადასახადო ვალდებულება პერიოდის დასაბეგრ მოგებაზე, დადგენილ საგადასახადო განაკვეთზე ანგარიშგების თარიღისთვის და საგადასახადო ვალდებულების ყველა შესწორება დაკავშირებულია წინა წლებთან.

დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება ვარაუდს, რომ ფინანსური ანგარიშგების დროს უნდა მოხდეს შესაბამისი საგადასახადო დეკლარაციების შევსება. გადასახადები, გარდა საშემოსავლოსი აღირიცხება ადმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

გადავადებული მოგების გადასახადი გამოითვლება წინა წლების გადმოტანილი ზარალით და პერიოდის დროებითი განსხვავებებით, რომლებიც წარმოიშობა აქტივების და ვალდებულებების საგადასახადო და ფინანსური განსხვავებებით. გადავადებული საგადასახადო ვალდებულება აღიარდება ყველა დასაბეგრი განსხვავებებისთვის. გადავადებული საგადასახადო აქტივის აღიარება ხდება ყველა გამოქვითვადი დროებითი განსხვავებებისთვის იმ შემთხვევაში თუ არის ალბათობა, რომ დასაბეგრი მოგება, რომლისთვისაც შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ეს გამოქვითვადი დროებითი განსხვავება. მსგავსი გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები არ აღიარდება, თუ წარმოქმნილი დროებითი განსხვავება წარმოიშობა გუდვილიდან ან აქტივების და ვალდებულებების პირველად აღიარებიდან (სხვა გარდა ბიზნეს კომბინაციისა), რომელიც იმყოფება გადაცემის პროცესში და არ აქვს გავლენა არც დასაბეგრ და არც სააღრიცხვო მოგებაზე.

გადავადებული აქტივის საბალანსო ღირებულება გადახედილ იქნება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და შემცირდება იმის საფუძველზე, რომ აღარ არის ალბათობა საკმარისი დასაბეგრი მოგების წარმოშობისა, რათა მიეცეს აქტივის უკან მიღების ნაწილობრივი ან სრული შესაძლებლობა. გადავადებული გადასახადები განისაზღვრება იმ საგადასახადო ნორმით, რომელიც მოსალოდნელია, რომ გამოყენებული იქნება საანგარიშგებო პერიოდში. გადავადებული საგადასახადო აქტივი აღიარდება იმ შემთხვევაში, როდესაც მოსალოდნელია, რომ მისი გამოყენება შესაძლებელი იქნება მომავალი მოგების გასაქვითად.

არა-ფინანსური აქტივების გაუფასურება

თითოეულ საანგარიშგო პერიოდში, ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები განიხილება, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება, რომ ამ აქტივებმა განიცადა გაუფასურების დანაკარგი. თუ არსებობს მინიშნება შესაძლო გაუფასურებაზე, ნებისმიერი ასეთი აქტივის (ან მასთან დაკავშირებული აქტივის ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასდება და შედარდება მის საბალანსო მაჩვენებელთან, თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება არის უფრო მცირე, საბალანსო მაჩვენებელი შემცირდება მის შეფასებულ ანაზღაურებად ღირებულებამდე, და გაუფასურების დანაკარგი აღიარებული იქნება დაუყოვნებლივ მოგება-ზარალში.

თუ გაუფასურების დანაკარგი არაფინანსური აქტივებისათვის მითითებულია, აქტივის (ან მასთან დაკავშირებული აქტივთა ჯგუფის) საბალანსო ღირებულება იზრდება მისი ანაზღაურებადი ღირებულების კორექტირებულ შეფასებამდე, მაგრამ არა უმეტეს იმ თანხისა, რაც განსაზღვრული იქნებოდა აქტივისთვის (ან მასთან დაკავშირებული აქტივთა ჯგუფისთვის), რომელსაც არ ჰქონდა გაუფასურების დანაკარგი წინა წლებში. ადრე აღიარებული გაუფასურების დანაკარგის აღდგენა აღიარებული იქნება დაუყოვნებლივ მოგება-ზარალში.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის ყველზე დაბალი ღირებულებით. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან და მის არსებული სამუშაო მდგომარეობაში მიყვანასთან. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, დაკავშირებული აქტივის გაყიდვასთან.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის მიერ გამოშვებული კაპიტალის ინსტრუმენტები აღირიცხება მიღებული თანხით. აკუმულირებული მოგება/ზარალი შეიცავს წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება/ზარალს. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვლდებულება იმ პერიოდისთვის, რომელშიც გამოცხადდა.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რაც კომპანიის სამუშაო და წარსადგენი ვალუტაა. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება ოპერაციის დღეს არსებული გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ლარში ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული და ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების კონვერტაციით გამოწვეული მოგება-ზარალი აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც უცხოური ვალუტის კონვერტაციით გამოწვეულ მოგებას გამოკლებული ზარალი-საკურსო სხვაობა.

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი, რომელის გამოყენებულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას შემდეგია:

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
1 USD/GEL	3.2766	2.8677
1 EUR/GEL	4.0233	3.2095
წლის საშუალო გაცვლითი კურსი	2020	2019
1 USD/GEL	3.1097	2.8192
1 EUR/GEL	3.5519	3.1553

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს ხელმძღვანელობისგან ისეთ შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და წლის ბოლოს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილ შემოსავალსა და ხარჯებზე. შეფასებებისა და დაშვებების გადახედვა ხდება უწყვეტად. ეს შეფასებები და დაშვებები ეყრდნობა წარსულ გამოცდილებასა და მრავალ სხვა ფაქტორს, რომლებიც გარემოებათა გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიიჩნევა. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ამგვარი შეფასებებისგან სხვადასხვა დაშვებებისა თუ პირობების მიხედვით. ქვემოთ მოცემულია შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მნიშვნელოვანია კომპანიის ფინანსური მდგომარეობისთვის და ფინანსური შედეგებისთვის.

ძირითადი საშუალებების საექსპლუატაციო ვადები კომპანია აკეთებს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, რისთვისაც ითვალისწინებს სხვადასხვა ფაქტორებს, ისეთებს როგორიცაა ტექნიკური მხარე, კომერციული გამოყენება, ძირითადი საშუალებების გამოყენების ვადა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს საუკეთესო გზით შეაფასოს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა, ის შეიძლება განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვები კომპანია რეგულარულად განიხილავს თავის სავაჭრო მოთხოვნებს რომ შეაფასოს გაუფასურება. გაუფასურების ზარალის დადგენა ხდება მისი აღიარების მიზნით.

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ექვემდებარება არაერთმნიშვნელოვან ინტერპრეტაციას. ჯგუფის ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში არსებობს ისეთი ოპერაციები, რომელთათვისაც ნათლად არ არის განსაზღვრული ამა თუ იმ გადასახადთან დაკავშირებული საკითხები. შედეგად, ჯგუფი აფასებს, ეკისრება თუ არა მას დამატებითი გადასახადების გადახდის ვალდებულება და მათზე დაყრდნობით აღიარებს საგადასახადო ვალდებულებებს. ეს საგადასახადო ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც ჯგუფს მიაჩნია თავისი საგადასახადო დეკლარაციები საიმედოდ, მაგრამ იგი თვლის, რომ შესაძლოა საგადასახადო ორგანოების მხრიდან გარკვეული პოზიცია იყოს განსხვავებული. შედეგად ჯგუფს მინიმუმამდე დაყავს აღნიშნული რისკი.

დაკავშირებულია მხარის ოპერაციები ჩვეულებრივად, კომპანია აწარმოებს ოპერაციებს დაკავშირებულ მხარეებთან. ბასს 39 მოითხოვს, ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას მათი სამართლიანი ღირებულებით. მსჯელობა გამოიყენება იმის გასასაზღვრათ შესაბამეა თუ არა ტრანზაქცია საბაზრო თუ არა საბაზრო ღირებულებას, იმ შემთხვევაში, როდესაც მსგავსი ტრანზაქციისთვის არ არსებობს აქტიური ბაზარი.

5. ცვლილება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების წარდგენაში

ცვლილება მოგება-ზარალისა და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების წარდგენაში

მოხდა გარკვეული მუხლის გადასინჯვა, რომ უფრო ჯეროვნად წარდგენილიყო მოგება-ზარალისა და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.

მოგება-ზარალის ანგარიშგება	რეკლასიფიკაცი ამდე	რეკლასიფი კაცია	რეკლასიფიკაცი ის შემდეგ
ძირითადი საშუალებების ცვეთა (ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები)	912	(897)	15
ძირითადი საშუალებების ცვეთა (გაყიდული ელექტროენერგიის თვითღირებულება)	3,428	919	4,347
ძირითადი საშუალებების ცვეთა (სხვა საოპერაციო ხარჯები)	39	(39)	-
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	რეკლასიფიკაცი ამდე	რეკლასიფი კაცია	რეკლასიფიკაცი ს შემდეგ
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4,099	(360)	3,739
სავაჭრო ვალდებულებები	(360)	360	-
წინასწარ გადახდილი თანხები	219	(219)	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(1,852)	219	(1,633)

შპს „გარდნილჰესების კასკადი“
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ათას ქართულ ლარში)

6. ძირითადი საშუალებები

	მიწა და შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	ავტომობილები, კომპ იუტერები, ავეჯი და სხვა	დაუმთავრებელი მშენებლობა	სულ
საბალანსო ღირებულება					
31 დეკემბერი 2018	81,769	13,985	36,924	1,429	134,107
მატება	1,163	8,172	443	-	9,778
კლება	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2019	82,932	22,157	37,367	1,429	143,885
მატება	412	4,312	12	-	4,736
კლება	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2020	83,344	26,469	37,379	1,429	148,621
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება					
31 დეკემბერი 2018	9,788	6,971	11,354	-	28,113
მიმდინარე წლის ცვეთა	3,241	1,070	67	-	4,378
ცვეთის ამობრუნება	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2019	13,029	8,041	11,421	-	32,491
მიმდინარე წლის ცვეთა	3,112	1,228	43	-	4,383
ცვეთის ამობრუნება	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2020	16,141	9,269	11,464	-	36,874
ნარჩენი ღირებულება					
31 დეკემბერი 2019	69,903	14,116	25,946	1,429	111,394
31 დეკემბერი 2020	67,203	17,200	25,915	1,429	111,747

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კომპანიის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარებით და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარებით შედგება:

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
სავაჭრო მოთხოვნები	5,399	3,926
გაუფასურების რეზერვი	(668)	(187)
წმინდა სავაჭრო მოთხოვნები	4,732	3,739
საგადასახადო აქტივი	972	1,302
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5,704	5,041

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი შემდეგია:

	2020	2019
ნაშთი 1 იანვარს	187	360
რეზერვის ზრდა წლის განმავლობაში	481	-
ამობრუნება წლის განმავლობაში	-	(173)
ნაშთი 31 დეკემბრის	668	187

ყველა სავაჭრო მოთხოვნა არის მოკლევადიანი და უპროცენტო. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების წმინდა ღირებულება მიახლოებულია საბალანსო ღირებულებასთან.

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მოთხოვნები სახელმწიფო ბიუჯეტისგან მთლიანად დაბრუნებადია და შესაბამისად არ საჭიროებს გაუფასურების რეზერვის შექმნას. ეს თანხა შეიცავს საშემოსავლო, ქონების, მიწის და სხვა გადასახადებს.

8. ფული და ფულის ეკვივალენტები; დეპოზიტები; ოვერდრაფტი

კომპანიის ფული და ფულის ეკვივალენტები 2020 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარებით შედგება:

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ფული საბანკო ანგარიშებზე ეროვნულ ვალუტაში	272	2,402
ფული საბანკო ანგარიშებზე უცხოურ ვალუტაში	45	1,645
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	317	4,047

ფულადი სახსრების ნაშთები საბანკო ანგარიშებზე შეიძლება დაკლასიფიცირდეს, როგორც ურისკო. მოკლევადიანი ხასიათის გამო საბანკო ნაშთებზე რეზერვი არ არის აღიარებული.

9. რესტრუქტურიზირებული ვალდებულებები

ფინანსთა სამინისტროს მიერ შექმნილი კომისიის, ვადაგადაცილებული გადასახადებისა და ვალდებულებების რესტრუქტურიზაციის კომისიის მიერ, იქნა მიღებული გადაწყვეტილება შპს ვარდნილჭესების კასკადის ვალდებულების რესტრუქტურიზაციის შესახებ. 2009 წლის 18 თებერვალს გაფორმებულ იქნა ფინანსთა სამინისტროსთან ხელშეკრულება ვალდებულების რესტრუქტურიზაციის შესახებ. ხელშეკრულების გაფორმების თარიღისთვის ვალდებულების ძირის ნაწილი სახელმწიფოს წინაშე იყო 3,673 ათასი ლარი. ვალდებულების საბოლოო დაფარვის თარიღად დადგენილია 2023

9. რესტრუქტურიზირებული ვალდებულებები (გაგრძელება)

წელი, უნდა დაიფაროს როგორც ვალდებულების ძირი ასევე მასზე დარიცხული პროცენტიც. რესტრუქტურიზირებული ვალდებულების საბალანსო ღირებულება უახლოვდება მის სამართლიან ღირებულებას. სამართლიანი ღირებულების დისკონტირება განისაზღვრება ეფექტური საპროცენტო განაკვეთით 6%-ით. რესტრუქტურიზირებული გადასახადები დომინირებულია ლარში. კომპანიამ მიიღო ნებართვა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ არ გადაიხადოს ვალდებულებები რომელიც მიკუთვნებულია რესტრუქტურიზირებულ ვალდებულებებს 2017 წლამდე.

10. კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალისგან და აკუმულირებული ზარალისგან, რომელიც კომპანიას დაუგროვდა წლების განმავლობაში. კომპანიის საწესდებო კაპიტალში ცვლილება წარმოადგენს მისი 100% მფლობელის შპს „ენგურჭესის“ მიერ კომპანიის კაპიტალში შენატანებს ძირითადი საშუალებების გადმოცემის სახით.

11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

კომპანიის სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2020 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგება:

	31 დეკემბერი, 2020	31 დეკემბერი, 2019
სავაჭრო ვალდებულებები	22	1,611
ვალდებულებები პერსონალის მიმართ	272	3
სხვა ვალდებულებები	80	20
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	374	1,634

სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს არ ერიცხებათ პროცენტი. კომპანიას გააჩნია რისკების მართვის პოლიტიკა, იმისთვის, რომ შესაძლებელი იქნეს ვალდებულებების დროული გადახედვა.

12. სესხები

	მიმდინარე		გრძელვადიანი	
	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
ს.ს "საქართველოს ბანკი"	1,500	-	1,526	-
ს.ს "თიბისი ბანკი"	-	-	4,500	-
	1,500	-	6,026	-

13. შემოსავლები

კომპანიის შემოსავლები შედგება ელექტროენერგიის რეალიზაციიდან კომპანიისთვის დადგენილი ტარიფით. უნდა აღინიშნოს, რომ კომპანიამ 2020 წლის განმავლობაში უსასყიდლოდ მიაწოდა ელექტროენერგია აფხაზეთის ტერიტორიაზე, შემოსავალი რომლიდანაც იქნებოდა 8,682 (2019: 14,305) ათასი ლარი. ამ შემოსავლის აღიარება არ ხდება.

14. გაყიდული ელექტროენერგიის თვითღირებულება

	2020	2019
ძირითადი საშუალებების ცვეთა	4,367	4,347
პირდაპირი ხელფასები	2,087	1,918
შეკეთების ხარჯები	1,028	851
პროფესიული მომსახურებები	-	4
სხვა პირდაპირი ხარჯები	2	16
სულ გაყიდული ელექტროენერგიის თვითღირებულება	7,484	7,136

15. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

	2020	2019
ხელფასები	1,816	1,840
დაცვის ხარჯები	955	691
სატრანსპორტო ხარჯები	111	129
საკონსულტაციო ხარჯები	109	68
ოფისის ხარჯები	59	49
საწვავის ხარჯები	48	62
საწევრო ხარჯები	26	54
ძირითადი საშუალებების ცვეთა	16	15
საკომუნიკაციო ხარჯები	12	10
სხვა	123	137
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	3,275	3,055

საკონსულტაციო ხარჯები მოიცავს აუდიტს ხარჯებს, რომელიც 2020 წლისთვის შეადგენს 10 ლარს (2019: 7 ლარი).

16. სხვა საოპერაციო ხარჯები

	2020	2019
ძირითადი საშუალებების ცვეთა	-	-
ძირითადი საშუალებების შეძენის ხარჯი	-	-
დებიტორული დავალიანებების შესაძლო დანაკარგების რეზერვი	481	-
დარიცხული საგადასახადო ხარჯი	-	-
სხვა	128	-
სულ სხვა საოპერაციო ხარჯები	609	-

17. დაბეგვრა

2016 წლის ივნისში, საქართველოს საგადასახადო კანონში ცვლილებები შევიდა მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, რომლებისთვისაც ძალაში შესვლის თარიღი 2019 წლის 1 იანვრით განისაზღვრა. ახალი ნორმატიული აქტების თანახმად, მოგების გადასახადით იბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე/პარტნიორებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან საქართველოში მცხოვრები ფიზიკური პირები ან არარეზიდენტი პირები, და არა მიღებული მოგება. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა იანვარიშება განაწილებული

17. დაბეგვრა (გაგრძელება)

წმინდა თანხიდან, 15/85 განაკვეთის გამოყენებით. კომპანიებს უფლება აქვთ ჩაითვალონ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტის მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ იბეგრება მოგების გადასახადით.

ცვლილებების ამოქმედების შემდეგ, 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიამ მთლიანად გააუქმა თავისი გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები ბასს 12-ის („მოგებიდან გადასახადები“) შესაბამისად, რათა გადავადებული გადასახადები 0%-იანი საგადასახადო განაკვეთით შეაფასოს, რომელიც გაუნაწილებელ მოგებაზე მოქმედებს 2017 წლის 1 იანვრიდან.

2020 წელს კომპანიას მოგება (დივიდენდები) არ გაუნაწილებია.

ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანია არსებითად აკმაყოფილებს იმ საგადასახადო კანონებს, რომლებიც მის საქმიანობას ეხება. ამის მიუხედავად, მაინც არსებობს იმის რისკი, რომ შესაბამისმა ორგანოებმა ამა თუ იმ კანონის სხვაგვარი ინტერპრეტაცია მოახდინონ.

18. ფინანსური რისკის მართვა

კომპანია არ არის დაცული სხვადასხვა რისკებისგან, რომლებიც დაკავშირებულია ფინანსურ ინსტრუმენტებთან. ძირითადი რისკების ტიპებია სავალუტო, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკები.

კომპანია არ არის ჩართული ფინანსური აქტივებით ვაჭრობაში. ძირითადი რისკები, რომლებიც დაკავშირებულია ფინანსურ აქტივებთან ნაჩვენებია და აღწერილია ქვემოთ:

სავალუტო რისკი

კომპანიის მიერ განხორციელებული გარკვეული ტრანზაქციები წარმოდგენილია უცხოურ ვალუტაში. შესაბამისად წარმოიშობა საკურსო სხვობები. კომპანიის ოპერაციების დიდი ნაწილი ხორციელდება ლარში. კომპანიას აქვს გადახდილი ავანსების მნიშვნელოვანი ნაწილი უცხოურ ვალუტაში.

31 დეკემბერი 2020	ლარი	აშშ დოლარი	სხვა
ფინანსური აქტივები			
დებიტორული დავალიანება	2,257	-	3,447
ფული და ფულის ეკვივალენტები	273	-	44
სულ	2,530	-	3,491
ფინანსური ვალდებულებები			
რესტრუქტურირებული დავალიანება	1,875	-	-
კრედიტორული დავალიანება	374	-	-
	2,249	-	-
ღია სავალუტო პოზიცია	281	-	3,491

18. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

31 დეკემბერი 2019	ლარი	აშშ დოლარი	სხვა
ფინანსური აქტივები			
დებიტორული დავალიანება	5,041	-	-
ფული და ფულის ეკვივალენტები	2,402	1,645	-
სულ	7,443	1,645	-
ფინანსური ვალდებულებები			
რესტრუქტურირებული დავალიანება	2,253	-	-
კრედიტორული დავალიანება	1,634	-	-
	3,887	-	-
ღია სავალუტო პოზიცია	3,556	1,645	-

საპროცენტო რისკები

საპროცენტო განაკვეთის რისკი ძირითადად დაკავშირებულია საბანკო სესხებთან (შენიშვნა 11). კომპანიას გააჩნია სესხები სს „საქართველოს ბანკი“ და სს „თბილისი ბანკ“-ში. სს „საქართველოს ბანკი“-დან აღებული სესხის საპროცენტო განაკვეთის ცვლილება დამოკიდებულია ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრულ რეფინანსირების განაკვეთზე. სს „თბილისი ბანკი“-ს სესხის პროცენტი 2022 წლის 17 აგვისტომდე ფიქსირებულია, ხოლო შემდეგ საპროცენტო განაკვეთის ცვლილება დამოკიდებულია ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრულ რეფინანსირების განაკვეთზე.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი ნიშნავს იმას რომ კონტრაქტორი ვერ შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ნაკისრ ვალდებულებებს, რის შედეგადაც კომპანია მიიღებს ფინანსურ ზარალს. კომპანიის პოლიტიკის მიხედვით, კომპანია ურთიერთობს კრედიტუნარიან კონტრაქტორებთან, რის შედეგადაც მცირდება კონტრაქტორის დეფოლტის რისკი, მაქსიმალურ საკრედიტო რისკს წარმოადგენს შემდეგი ფინანსური აქტივები:

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
სავაჭრო მოთხოვნები გაუფასურებამდე	5,399	3,926
ფული საბანკო ანგარიშზე	317	4,047
სულ საკრედიტო რისკის საფრთხე	5,716	7,973

ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის არ იყო მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკის კონცენტრაცია სავაჭრო მოთხოვნებთან მიმართებაში.

საკრედიტო რისკი საბანკო ანგარიშებთან მიმართებაში უმნიშვნელოა, ვინაიდან სახსრები გათავსებულია კარგი რეპუტაციის მქონე ბანკებში.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი გულისხმობს, კომპანიის ვალდებულებების გადახდისუნარიანობას.

კომპანია ფრთხილად მართავს ლიკვიდურობას, რაც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულის და მისი ექვივალენტების ფლობას, აგრეთვე მაღალი ლიკვიდური აქტივების ფლობას, რათა კომპანიამ დროულად გადაიხადოს ყველა საოპერაციო და სასესხო ვალდებულება.

შემდეგი ცხრილი შედგენილი იქნა არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი ნაკადებით.

შპს „გარდნილჭესების კასკადი“
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ათას ქართულ ლარში)

18. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

31 დეკემბერი 2020	საპროცენტო განაკვეთის არ მქონე	ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი	სულ
ფინანსური აქტივები			
1 წლამდე	5,399	317	5,716
სულ ფინანსური აქტივები	5,399	317	5,716
ფინანსური ვალდებულებები			
1 წლამდე	374	653	1,027
1-5 წლამდე	-	1,222	1,222
სულ ფინანსური ვალდებულებები	374	1,875	2,249
ღია საბალანსო პოზიცია	5,025	(1,558)	3,467

31 დეკემბერი 2019	საპროცენტო განაკვეთის არ მქონე	ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი	სულ
ფინანსური აქტივები			
1 წლამდე	3,926	4,047	7,973
სულ ფინანსური აქტივები	3,926	4,047	7,973
ფინანსური ვალდებულებები			
1 წლამდე	1,634	720	2,572
1-5 წლამდე	-	1,533	1,533
სულ ფინანსური ვალდებულებები	1,634	2,253	4,105
ღია საბალანსო პოზიცია	2,292	1,794	3,868

ლიკვიდურობის რისკის სამართვად კომპანია იყენებს საკუთარ ფინანსურ აქტივებს, როგორცაა ფულადი რესურსები და სავაჭრო მოთხოვნები. კომპანიის ფულადი რესურსები და სავაჭრო მოთხოვნები ნაკლებია ვიდრე მისი საჭიროება ფულად გასაღებზე. კომპანია ფარავს ლიკვიდურობის რისკს სამომავლო ფულადი შემოსავლებით და აუთვისებელი სესხის ნაშთებით.

19. დაკავშირებული მხარეები

კომპანიის დაკავშირებული მხარეები არიან მისი მფლობელები, ძირითადი მართველები და სხვა სამთავრობო კომპანიები.

საანგარიშგებო წლის განმავლობაში დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქციები შედგება:

	2020	2019
ხელმძღვანელობის ხელფასები და ბონუსები	114	126
	114	126

20. ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშები მომზადდა საქმიანობის უწყვეტობის პრინციპზე დაყრდნობით, რაც გულისხმობს იმას, რომ კომპანიას ფუნქციონირებას არ ემუქრება საფრთხე საანგარიშგებო პერიოდიდან მომდევნო 12 თვის განმავლობაში.

არსებული ინფორმაციით არაფერი მიუთითებს იმაზე, რომ კომპანიას შეექმნება ფუნქციონირების საფრთხე, რაც ასევე აღწერილია ფინანსური ანგარიშგების მე-2 შენიშვნაში.

21. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2021 წლის 16 ივნისს.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი კომისიის 2020 წლის 17 დეკემბერის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებით (ბრძანება N73), 2021-2023 წლების პერიოდისათვის კომპანიის ტარიფი განისაზღვრა 2.565 თეთრი/კვტსთ (2020 წლის განმავლობაში მოქმედი ტარიფი იყო 2.206 თეთრი/კვტსთ).

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონდა მნიშვნელოვან არამაკორექტირებელ მოვლენას.

შპს “ვარდნილჰესების კასკადის”

მმართველობითი ანგარიშგება

2020 წელი

I. საწარმოს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა “შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება”.

შპს “ვარდნილჰესების კასკადი” ტერიტორიულად მდებარეობს საქართველოს ხელისუფლების მიერ დროებით არაკონტროლირებად ტერიტორიაზე (გალის რ-ნი დას. რეჩხი).

2012 წელს წილის 100% საკუთრებაში გადაეცა შპს “ენგურჰესს” შვილობილი საწარმოს სტატუსით.

შპს „ვარდნილჰესების კასკადის“ კაპიტალი 116 334 529.77 (ასთექვესმეტიმილიონ სამასოცდათოთხმეტიათას ხუთასოცდაცხრა ლარი და 77 თეთრი) ლარს შეადგენს.

ვარდნილი ჰეს-I-ის ძირითად და დამხმარე მოწყობილობებზე ჩატარებულმა სარეაბილიტაციო სამუშაოებმა საწარმოს საანგარიშო წლისათვის შექმნა დადებითი ტენდეციები, კერძოდ: გაიზარდა აგრეგატების მუშაობის საიმედოობა, გაუმჯობესდა ელ. მოწყობილობების ოპერატიული მომსახურების უსაფრთხოდ და დროულად ჩატარების შესაძლებლობა, გაიზარდა ელ. ენერგიის წარმოება. შეუფერხებლად განხორციელდა ელ. ენერგიის გაყიდვა ქვეყნის შიგნით პირდაპირი ხელშეკრულებით.

2020 წლის თორმეტ თვეში პარტნიორის მიერ დამტკიცებული ბიზნეს-გეგმით ელ. ენერგიის გამომუშავება ვარდნილჰესების კასკადში დაგეგმილი იყო 669 006 ათასი.კვტ.სთ. მათ შორის: საკუთარი მოხმარება და დანაკარგები 5 231 ათასი.კვტ.სთ, სალტეზე გაშვება 663

775 ათასი.კვტ.სთ, აქედან აფხაზეთზე გადაცემა 331 606 ათასი.კვტ.სთ. სარეალიზაციოდ განკუთვნილმა მოცულობამ შეადგინა 332 168 ათასი.კვტ.სთ.

ფაქტიურად 2020 წლის თორმეტ თვეში გამომუშავებული იქნა 561 813 ათასი.კვტ.სთ, საკუთარი მოხმარება და დანაკარგები 5 647 ათასი.კვტ.სთ, სალტეზე გაშვება 556 166 ათასი.კვტ.სთ, აქედან აფხაზეთს მოხმარდა 393 584 ათასი.კვტ.სთ ანუ თანხებში 8 682 ათასი ლარი, გეგმიურზე 61 978 ათასი. კვტ. საათით მეტი. რეალიზებული იქნა: ქვეყნის შიგნით 162 582 ათასი.კვტ.სთ ანუ თანხებში 3 586 ათასი ლარი, სს „ენერგო-პრო ჯორჯია“ 85 493 ათასი. კვტ.სთ -1 886 ათასი ლარი, სს „თელასი“ 77 089 ათასი კვტ.სთ -1 700 ათასი ლარი.

2020 წელს გაწეული ქმედითი ღონისძიებებით კარგვები უზალანსობებზე დაყვანილ იქნა მინიმუმამდე. გამოიცვალა მრიცხველების ძაბვით და დენით მკვებავი საკონტროლო კაბელები. თითოეულ მინაერთზე მიწოდებულ იქნა ძაბვები საკუთარი ტრანსფორმატორებიდან. მანამდე იკვებებოდნენ სასალტე ძაბვის ტრანსფორმატორებიდან. საანგარიშო პერიოდში აფხაზეთის გათვალისწინებით ვარდნილჰესების კასკადს ელ.ენერგიის რეალიზაციიდან ბიზნეს-გეგმის მოგება-ზარალის უწყისის მიხედვით უნდა მიეღო შემოსავალი 14 642 ათასი ლარი. ფაქტიურად მიღებულია 12 281 ათასი ლარი (მათ შორის აფხაზეთი 8 682 ათასი ლარი). რეალურად შემოსავალმა პირადპირი ხელშეკრულებით

3 599 ათასი ლარი შეადგინა.

რაც შეეხება კაპ. დაბანდების ხარჯებს კასკადის რეაბილიტაციის პროგრამის მიხედვით სრულიად განხორციელდა მთელი საანგარიშო წლის განმავლობაში ვარდნილი ჰესი-1-ი მუშაობდა ეროვნული სადისპეტჩერო სამსახურის მიერ დადგენილი რეჟიმით. არყოფილა შემთხვევა წყალსაცავიდან წყლის უქმად გადაღვრისა,

2020 წლის ოქტომბერ-ნოემბრის თვეებში ჩატარდა მდინარე ენგურის კალაპოტზე არსებული დამხმარე წყალსაგდები ნაგებობების ე.წ. “პერებროსკა” წყალგამყვანი არხების გაწმენდა, წყალმიღები და წყალსაგდები ფარების თითო მექანიზმის მომზადება. აღნიშნული ნაგებობების საშუალებით გალის წყალსაცავში შემოშვებულ იქნა 10/15მ/კუბი/წმ მოცულობის წყალი. აღნიშნულმა ღონისძიებებმა საშუალება მოგვცა დეკემბრის თვეში “ენგურჰესი”-დან შემოდინებული წყლის მოცულობასთან შეფარდებით ვარდნილ ჰეს-1-ს 10 მლ.კვტ/სთ-ით მეტი ელ. ენერგიის გამომუშავებისა.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფულადი სახსრების ნაშთი საბანკო ანგარიშზე შეადგენს 317 ათას ლარს.

ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბაზრის წესების მოთხოვნის თანახმად, აფხაზეთის ტერიტორიაზე ელექტროენერგიის მიწოდება ხორციელდება შპს “ენგურჰესი”-ს და შპს “ვარდნილჰესების კასკადი”-ს სადგურებიდან უსასყიდლოდ, რაც შპს “ვარდნილჰესების კასკადი”-ს წლიური გამომუშავების დაახლოებით 72,2%-ს შეადგენს, 2020 წელს აფხაზეთის მოხმარებამ შეადგინა 393 584 ათასი კვტ.სთ ანუ თანხებში 8 682 462 ლარი, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს მოცულობა ზამთრის და გაზაფხულის თვეებში 98%-ს ზოგ თვეებში 100%-ზე მეტსაც კი აჭარბებს კერძოდ ნოემბერში, დეკემბერში, იანვარში, თებერვალში და მარტში შესაბამისად აღნიშნულ პერიოდში საწარმოს წარმოექმნება ფინანსური პრობლემა. გარდა აღნიშნულისა, სისტემაში ამჟამად არსებული ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნიდან გამომდინარე შპს “ენგურჰესი”-ს და შპს “ვარდნილჰესების კასკადი”-ს აფხაზეთზე ყოველგვარი გადახდის გარეშე მიწოდებულ 1 კვტ.სთ ელექტროენერგიაზე დამატებით სს “ესკო”-ს უხდის 0.019, ხოლო “სემეკი”-ს 0.002 ლარს მომსახურების და რეგულირების საფასურს, რაც ყოველგვარ ლოგიკას მოკლებულია და ორგანიზაციას უმცირებს მოგებას დებიტორული და კრედიტორული დავალიანებები; დებიტორულ დავალიანებათა ამოღების პერსპექტივები; უიმედო დებიტორები.

შპს “ვარდნილჰესების კასკადი”-ს 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დებიტორული დავალიანება შეადგენდა 5 704 ათას ლარს

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოებას კრედიტორული დავალიანება წარმოექმნა ვალდებულება კონტრაქტორების წინაშე (ნოვოსიბირსკი ელსიბი სტატორის შემენისას) და ასაღებული იქნა კომერციული ბანკებიდან სესხი; სს საქართველოს ბანკი 3 026 ათასი ლარი, სს თბისი ბანკი 4 500 ათასი ლარი.

შპს “ვარდნილჰესების კასკადი”-ს საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის წინა წლებთან შედარებით გაუმჯობესება განპირობებულია შემდეგი გარემოებით:

- ვარდნილჰეს 1-ის ძირითადი და დამხმარე ელ.მოწყობილობების რეაბილიტაციით.
- საწარმოს სტაბილურობისა და ელექტროენერგიის წარმოების ზრდა.
- პირდაპირ ხელშეკრულებებზე გადასვლა და ელ. ენერგიის საფასურის ამოღების მაჩვენებლის მკვეთრი გაუმჯობესება.
- დარგში არსებული სიტუაციის გაუმჯობესება, რაც გადახდის მაჩვენებლებში აისახება.
- საოპერაციო ხარჯების მინიმიზაცია და სარემონტო-სამოდერნიზაციო სამუშაოების მხარდაჭერა.
- 2016 წლის 6 ოქტომბერს მოხდა “ვადაგადაცილებული საგადასახადო დავალიანების რესტრუქტურიზაციის შესახებ” 2009 წლის 30 იანვრის გაფორმებულ ხელშეკრულებაში და რესტრუქტურიზებული საგადასახადო დავალიანების თანდართულ გრაფიკში ცვლილებების შეტანა. 2020 წლის ივლისი და სექტემბრის თვეში მოხდა დარიცხული სარგებლის გადახდა 686 185 ლარის ოდენობით.

II. მიზანი. განვითარების პერსპექტივები

ვარდნილჰეს 1-ის რეაბილიტაციის პროგრამაში შეყვანილი არ ყოფილა ჰიდროაგრეგატი #3-ის სტატორის და ტურბინის შეცვლა. აღნიშნული მექანიზმები ექსპლუატაციაში გაიშვა 1971 წელს და ამჟამად მუშაობენ სრულ ცვეთაზე. სრულ ცვეთაზე მუშაობენ აგრეთვე ძალოვანი ტრანსფორმატორები N#1 და #2 ტიპი ТИ -125 000-220/13,8. 2020 წლიდან საწარმოს ძირითადი მიზანი იქნება ფინანსების მოძიება აღნიშნული დანადგარების შესაკვეთად, დასამზადებლად, მოსაწოდებლად და დასამონტაჟებლად.

საწარმოს სიმძლავრისა და საიმედოობის ზრდისათვის განხორციელებული ღონისძიებებიდან, რომლებმაც არსებითი დადებითი გავლენა იქონიეს ორგანიზაციის საწარმოო მაჩვენებლებზე აღსანიშნავია:

კაპიტალურ რემონტებში

კაპიტალურ რემონტებში მე -3 ჰიდროაგრეგატზე შესრულებული იქნა სამუშაოები და შეძენილი იყო სხვადასხვა საქონელი, კერძოდ: შეძენილი იქნა:

შესრულებული იქნა შემდეგი სამუშაოები:

- ქვედა ბიეფის წყალსაკეტი ფარების ზღურბლის დასუფთავება
- მუშა თვლის გამწოვ ნაწილში დაზიანებული ადგილის ბეტონირება
- ტურბინის დაზიანებული ფრთის შედუღება
- 3-მე 3/ა ზეთმიმღების ბრინჯაოს გაჩარხვა პოლირება ჩაპრესვა დაცენტრირება
- ტრანსპორტირება

ძირითადი საშუალებების შეძენა:

- ელსიბი ნოვოსიბირკიდან მიცემულია შეკვეთა სტატორის ახალი კორპუსის დამზადებაზე ავანსის სახით გადახდილია 5 508 187 ლარი.
- ზაპოროჟტრანსფორმატორი უკრაინიდან მიღებული იქნა ახალი ძალოვანი ტრანსფორმატორი ТДИ-125000/220-Y1 - ჰესი-1 ღირებულებით 2 468 ათასი ლარი.

IV. წარმოება

შპს “ვარდნილჰესების კასკადი”-ს ჰიდროენერგოსადგურის კომპლექსში შედის: გალის ქვა მიწაყრილი კაშხალი (მოცულობა 145 მლნ მ/კუბი) “ჰესი-I” (სადაც დადგმულია 3 აგრეგატი, თითოეულის საპროექტო სიმძლავრე 70 მვტ-ია, სულ საწარმოს დადგმული სიმძლავრე შეადგენს 210 მვტ. 1971 წელს ექსპლუატაციაში გაშვებული იქნა #1, #2 და #3 აგრეგატები.

ვარდნილჰესები II-III და IV საომარი მოქმედებების პერიოდში მთლიანად გაიძარცვა და დატბორილია არხის წყლის დონემდე საჭიროა მათი ინვენტარიზაცია და ჩამოწერა.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ დაადგინა ვარდნილჰესების გამომუშავებული ელ. ენერგიის ტარიფი, რომელმაც 2020 წლის 1 იანვრიდან 1 კვტ/სთზე შეადგინა 2, 206 თეთრი.

2020 წლის ბოლოსათვის საწარმოს აქვს საპროექტო სიმძლავრეზე გასული 3 აგრეგატი, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის მისი საიმედოობას და სტაბილურობას და შესაბამისად ელ.ენერგიის გამომუშავებას.

III. მართვა და პერსონალი

1. მართვა და ორგანიზაციული სტრუქტურა საწარმოს ხელმძღვანელი ორგანოებია:

- ა) პარტნიორთა კრება – რომელიც ტარდება, სულ ცოტა, წელიწადში ერთხელ მაინც, წლიური ბალანსის აუდიტების შემდეგ ატარებს 100%-იანი წილის მფლობელი პარტნიორი შპს“ენგურჰესი”.
- ბ) დირექტორი

საწარმოს ყავს ერთი დირექტორი, რომელიც ერთპიროვნულად მართავს საწარმოს და ხელმძღვანელობს წესდების და მომქმედი კანონმდებლობით.

2. მენეჯმენტი და პერსონალი

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საწარმოში სულ დასაქმებულია 249 ადამიანი

პერსონალის სტრუქტურა	რაოდენობა
ხელმძღვანელობა	35
საქარმოს ტექნიკური განყოფილება	11
ფინანსო-საბუღალტრო აღრიცხვის სამსახური	5
ელექტრო-ტექნიკური საამქრო	23
ჰიდროტექნიკური საამქრო	35
სარელო დაცვის და ავტომატიკის საამქრო	14
ოპერატიული პერსონალი	22
ავტომეურნეობა	21
კავშირგაბმულობა	7
კომუნალური მეურნეობა	15
საუწყებო დაცვა	59
დეზინფექცია	2
ჯამი	249

დირექტორი

შ. სანაძე

საწარმოს ყავს ერთი დირექტორი, რომელიც ერთპიროვნულად მართავს საწარმოს და ხელმძღვანელობს წესდების და მომქმედი კანონმდებლობით.

2. მენეჯმენტი და პერსონალი

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საწარმოში სულ დასაქმებულია 249 ადამიანი

პერსონალის სტრუქტურა	რაოდენობა
ხელმძღვანელობა	35
საწარმოს ტექნიკური განყოფილება	11
ფინანსო-საბუღალტრო აღრიცხვის სამსახური	5
ელექტრო-ტექნიკური საამქრო	23
ჰიდროტექნიკური საამქრო	35
სარელო დაცვის და ავტომატიკის საამქრო	14
ოპერატიული პერსონალი	22
ავტომეურნეობა	21
კავშირგაბმულობა	7
კომუნალური მეურნეობა	15
საუწყებო დაცვა	59
დეზინფექცია	2
ჯამი	249

დირექტორი

შ. სანაძე

